

ირა დანელია¹, კობა წურწუმია²
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

[DOI:https://doi.org/10.52340/sou.2023.21.17](https://doi.org/10.52340/sou.2023.21.17)

ვირჯინია ვულფის „საკუთარი ოთახის“ ფემინისტური და ლინგვისტიკისტური პარადიგმები

აბსტრაქტი. წარმოდგენილ პუბლიკაციაში განხილულია ბრიტანელი მწერალი ქალის, ესეისტისა და მოდერნისტული ლიტერატურის გამორჩეული წარმომადგენლის ვირჯინია ვულფის თეორიული ნაშრომი „საკუთარი ოთახი“. ასევე ნაშრომში წარმოდგენილია ევროპელი და ამერიკელი ინტელექტუალი ქალების ხედვები, მათი თეორიული შრომები, რომლებიც ძირულ ტრანსფორმაციას მოითხოვდნენ ქალების ცხოვრებაში, საზოგადოებასა და ოჯახში ქალის უფლება-მოვალეობების გაუმჯობესებას. ნაშრომი მიზნად ისახავს ანტიფემინისტური და ანტიგენდერული საკითხების კომპლექსურ გააზრებას. ამავე დროს, ნაშრომში განხილულია ის უმთავრესი საკითხები, გამოწვევები, რომლის წინაშე იდგნენ ინტელექტუალი ქალები.

ნაშრომში ხაზგასმულია ფემინისტური ლიტერატურისათვის დამახასიათებელი ლინგვისტიკისტური თავისებურებები, კერძოდ, ვირჯინია ვულფის „საკუთარი ოთახის“ მაგალითზე, რამდენადაც ეს ნაწარმოები ნაკლებადაა შესწავლილი ამ ჭრილში. სწორედ ეს გახლავთ ჩვენი ნაშრომის მიზანი და სიახლე ლინგვისტური და სტილისტური კუთხით.

ზემოხსენებულ სტატიაში შევეცადეთ რაც შეიძლება ნათლად მიგვეწოდებინა მკითხველისთვის ის ფემინისტური გზავნილები და ლიტერატურული ხერხები, რომელსაც ვულფი იყენებს თავის ესეში, როგორც გამოწვევას გენდერის ტრადიციული გაგებისა და გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის ბრძოლაში. ამგვარად, მან ნამდვილად დაუმკვი-

¹ **ირა დანელია**, პედაგოგიკის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

² **კობა წურწუმია**, ფილოლოგიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი.

დრა ადგილი ქალ მწერალთა და კრიტიკოსთა მომავალ თაობას ამ ბრძოლაში.

მიზოგინია, ქალთა მიმართ უნდობლობა და სიძულვილი, დამცირება, დიდი ხნის მანძილზე გრძელდებოდა. „შავ-ბნელ“ ეპოქაში ქალთა თავისუფლებაზე. ეკონომიკურ სტაბილურობაზე, არჩევნებში მონაწილეობაზე, განათლების მიღებაზე საუბარი ხმამაღალი იყო. ლიტერატურაში ე. წ. „ქალური თემების“ შემოტანა უცხო და მიუღებელი იყო. საუკუნეების მანძილზე პატრიარქალურ აზროვნებას ეწირებოდნენ ქალები. XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე თანდათან იწყება ძველი პატრიარქალური იდეოლოგიის რღვევა. დღეს სამეცნიერო ლიტერატურაში ტერმინი „ფემინიზმი“ საკვანძო სიტყვად იქცა.

სტატიაში გამოყენებულია კვლევის შემდეგი მეთოდები: წყაროთმცოდნეობითი მეთოდი, მასალის შეგროვება-დამუშავების, ტექსტის კრიტიკული და ლინგვოსტილისტური ანალიზის მეთოდი, დაკვირვების მეთოდი.

საკვანძო სიტყვები: „საკუთარი ოთახი“, ფემინიზმი, ქალთა უფლებები, ევროპელი და ამერიკელი ფემინისტი ქალების ნააზრევი, ფემინისტური სტილისტიკა და გამოხატვის ხერხები, ემოციური ჩართულობა.

Ira Danelia³

Sokhumi State University

Koba Tsurtsunia⁴

Sokhumi State University

Feminist and Lingvostylistic Paradigms in Virginia Woolf's „A Room of One's Own“

Abstract. This publication discusses the theoretical work „A Room of One's Own“ by Virginia Woolf, a British writer, essayist, and outstanding representative of modernist literature. The work also presents the visions of European and American women intellectuals and their theoretical works, which called for a fundamental transformation to improve women's rights and opportunities in women's lives, society, and the family.

The work aims to provide a complex understanding of anti-feminist and anti-gender issues. At the same time, it discusses the most important issues and challenges faced by intellectual women in general.

³ **Ira Danelia**, Doctor of Pedagogy, Associate Professor of Sokhumi State University.

⁴ **Koba Tsurtsunia**, Doctor of Philology, Guest Lecturer of Sokhumi State University.

Lingvostylistic characteristic of feminist literature are emphasized in the present article, in particular, on the example of Virginia Woolf's "A Room of One's Own", as this work of hers is less studied in this regard. This is the goal and novelty of our paper work from the linguistic and stylistic point of view.

The abovementioned article seeks to deepen our understanding of Woolf's feminist message and the literary techniques she used to convey it by analyzing the essay's language and style through a feminist lens. This feminist stylistic analysis can help to uncover how Virginia Woolf used language to challenge traditional ideas of gender and promote gender equality. So she made room indeed for the next generation of women writers and critics.

Misogyny, mistrust, hatred towards women, and humiliation continued for a long time. In the "black and dark" era, it was unacceptable to talk about women's freedom, economic stability, participation in elections, education, including in literature. For centuries, women sacrificed to patriarchal thinking. The old patriarchal ideology begins to break down at the turn of the 20th and 21st centuries. Today, in the scientific literature, the term "feminism" has become a key word.

The following research methods are used in the article: source knowledge method, data collection-processing method, critical analysis method, linguostylistic analysis method, and observation method.

Keywords: „A Room of One's Own“, feminism, women's rights, emotional involvement, American and European feminists, feminist stylistics and means of expression.

შესავალი. ვირჯინია ვულფი (Virginia Woolf, 1882-1941) ვიქტორიანული ეპოქის გამორჩეული ხედვისა და სტილის მწერალი და ესეისტი. მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა რომანებისა და მოთხრობების გარდა მოიცავს პუბლიცისტიკასა და კრიტიკულ წერილებს. მან საგანგებო წერილები მიუძღვნა წინა საუკუნეებისა და თავისი დროის მწერალთა შემოქმედებას (ჩოსერი, მარლოუ, შექსპირი, დეფო, სვიფტი, ოსტინი, დები ბრონტები, სკოტი, დიკენსი, გოლზუორთი), მაგრამ ვულფი ყველაზე მეტ პატივს მიაგებდა ჯეიმს ჯოისის სამწერლო ტალანტს, თუმცა ჯოისზე შენიშვნებსაც ღიად გამოსთქვამდა. აკრიტიკებდა „ულისეს“: „კატასტროფა“, „თავზარდამცემი“, - ამ სიტყვებით „შეამკო“ მან ჯეიმს ჯოისის „ულისე“ (ესეები, 1988: 193). ცალკე კვლევის თემაა ვირჯინია ვულფის პირადი დღიურები, თეორიული შრომები და ჩანაწერები. მართებული ვიქნებით თუ დავძენთ, ვირჯინია ვულფის წერის სტილმა განსაზღვრა ევროპული და ამერიკული მოდერნისტული რომანის შემდგომი განვითარება.

ვირჯინია ვულფის მღელვარე და მშფოთვარე ცხოვრების ანარეკლია მისი მხატვრული შემოქმედება, კერძო წერილები, ესეები და განსაკუთრე-

ბით კი მისი ტრაქტატი „საკუთარი ოთახი“ („A Room of One's Own“, 1929). ეს ნაშრომი ვირჯინია ვულფის ფემინისტური იდეების დემონსტრაციას წარმოადგენს და მწერალი ქალის თამამი და ღია გრძნობების დაუსრულებელ დელვას გვამცნობს. „ბლუმსბერის“ ლიტერატურული სალონის დიასახლისი თავგამოდებით იბრძვის ქალთა უფლებებისა და ემანსიპაციისათვის, ქალისა და მამაკაცის თანასწორობისათვის. მეტ გააზრებას მოითხოვს ვულფის თეორიული და ესთეტიკური ნააზრევი, მხატვრული შემოქმედება. ვულფი მთელი თავისი მხატვრული მსოფლმხედველობით, ლიტერატურული შეხედულებებით და ესთეტიზმით მოდერნისტი და ფემინისტი მწერალია, რომელმაც ახალ სიმაღლეებს აზიარა ბრიტანული პროზა.

მაშინდელ კრიტიკას არა ერთგვაროვანი შენიშვნები გააჩნდა ვულფის შემოქმედებაზე. კრიტიკოსი ფრენკ სუინერთონი მაღალ შეფასებას აძლევდა ვულფის სამწერლო შესაძლებლობებს, თუმცა შენიშვნებსაც ღიად გამოთქვამდა. ის ვირჯინია ვულფის „მისის დოლოვეისა“ (Mrs Dalloway, 1925) და სხვა რომანების შესახებ წერდა: „სიტყვისა და აზრის მუდმივი მღელვარება ბატონობს ამ წიგნებში.

ისინი დაუკავშირებლობით გამოირჩევიან“. იქვე, სუინერთონი დასძენს: „ამ წიგნებზე ისიც უნდა ითქვას, რომ ისინი ძალზე კარგადაა დაწერილი და აღსავსეა დახვეწილობით, მშვენიერების უკანასკნელი მიღწევით“ (ესეები 1988: 4-6). ღია, აღსავსეა დახვეწილობით, მშვენიერების უკანასკნელი მიღწევით, რაც სამართლიანი დაკვირვებაა ვულფის შემოქმედებაზე: „მოუმწიფებელი მკითხველისთვის ვირჯინია ვულფის პროზა არ არის შექმნილი. მისმა პროზამ დაიტია მთელი დასავლური ლიტერატურის განწყობა“ („განთიადი“ 2018: 333). ემოციური და მშფოთვარე ხელწერის მიღმა თავსდება ვულფის ნიჭიერება, გამძლეობა, მოთმინება, ნერვიული შეტევები.

მსჯელობა. ვირჯინია ადელან სტივენმა მეტად უჩვეულო ლიტერატურული გზა განვლო. უჩვეულო და ტრაგიკული იყო მისი პირადი ცხოვრებაც. მწერალ ქალს ყმაწვილობიდანვე ეწყება ნერვიული აშლილობა. ოჯახმა, და განსაკუთრებით მამამ, განსაზღვრეს ვირჯინიას ლიტერატურული ბედი. მწერლის მამა სერ ლესლი თავისი დროის გამორჩეული ხელწერის ლიტერატორი და კრიტიკოსი გახლდათ. ვირჯინიას განათლებას თვალ-ყურს სწორედ მამა ადევნებდა. მართალია, მას ძმებივით განათლება კემბრიჯში არ მიუღია, მაგრამ მამის მდიდარი ბიბლიოთეკის დახმარებით სათანადო განათლება მიიღო. 1912 წელს ვირჯინია სტივენი მისთხოვდება ლეონარდ ვულფს და ამ გვარით იწყებს ვირჯინია ლიტერატურულ სარბიელზე გამოსვლას.

„თუკი დაეცემი, ადამიანური ბუნება შენზე გაიმარჯვებს“, - ვულფი ასე ათქმევინებს თავის ერთ პერსონაჟს. თავისი პერსონაჟის მსგავსად ვ. ვულფიც დაეცემა. მიუხედავად იმისა, რომ ვულფი ნერვიულ შეტევებს გამუდმებით ებრძოდა, 1941 წლის 28 მარტს ნებაყოფლობით შეწყვიტა ბრძოლა და მდინარე უზს სამუდამოდ მიანდო თავისი დაღლილი სხეული. თითქოს დაუმშვიდობებლად გაექცა საზოგადოებას, ოჯახს, მკითხველს და უპირველესად კი საკუთარ თავს. ჩათვალა, რომ ბრძოლისათვის მეტი ძალები აღარ შემორჩა!

ფემინიზმის ისტორიას შემორჩა ქალთა მეტად საინტერესო სახელები: მერი უოლსტონკრაფტი, სიმონ დე ბოვუარი, შარლოტა ბრონტე, ელიზაბეტ ბიჩერ სტოუ, ჟორჟ სანდი, ელისაბედ გასკელი, მერი შელი, ჯეინ ოსტინი, სილვია პლათი, კლარა ცეტკინი და სხვა მრავალი.

ანტიკური ეპოქიდან მოყოლებული ქალთა მიმართ არაერთგვაროვანი შეფასება ჰქონდათ. ანტიკურ ეპოქაში ცხოვრობდა ლეგენდარული პოეტი ქალი საფო (ძვ. წ. VII-VI სს.), რომელსაც ბერძნები „საკვირველ მგოსანს“ უწოდებდნენ. „პლატონი საფოს მეათე მუზას უწოდებდა, არისტოტელე დიდის მოკრძალებითა და პატივისცემით მოიხსენიებდა მის სახელს“ (საფო 1977: 5). სოფოკლე (ძვ. წ. 496-406), ანტიკური ტრაგედიის გამორჩეული წარმომადგენელი და პოეტთა შეჯიბრებაში მრავალგზის გამარჯვებული, თავის გახმაურებულ ტრაგედიაში „ანტიგონე“, მთავარი გმირი ქალი შინაგანად ძლიერი პიროვნებაა, რომელიც არაფრით ჩამოუვარდება მამაკაცებს. ის მედგრად იცავს დაუწერელ კანონებს და ტირან მეფეს ეწინააღმდეგება. სულ სხვა რეალობა გვიჩვენა ევრიპიდე (ძვ. წ. 480-406). მის პიესებში ქალები უარყოფითად არიან დახატული. ამ მხრივ საყურადღებოა „მელა“ და „იპოლიტე“. არისტოფანეს (ძვ. წ. 446-388) კომედიებში ქალებს განსაკუთრებული მისია ეკისრებათ. ამ მხრივ საყურადღებოა ათენელი ქალი ლისისტრატე (ამავე სახელწოდების კომედიაში „ლისისტრა-ტე“). კომედიაში ომის მოწინააღმდეგეებად გამოყვანილნი არიან ქალები. საბერძნეთის ყველა კუთხიდან ათენში იკრიბებიან ქალები. მათ მეთაურობს ათენელი ქალი ლისისტრატე. იგი მოუწოდებს ქალებს, რომ აიძულონ თავიანთი ქმრები შეწყვიტონ ომი და ზავი დადონ. წინააღმდეგ შემთხვევაში უარი უთხრან ქმრებს ცოლობაზე. ქალები მიზანს აღწევენ. ათენელები და სპარტელები ზავდებიან (ყაუხჩიშვილი 1961: 327).

ყველა დროში ქალები ქმნიდნენ საყურადღებო ტრაქტატებსა თუ მანიფესტებს. ფრანგი მწერალი ქალი სიმონა დე ბოვუარი (Simone de Beauvoir, 1908-1986), გონკურისა და სხვა მრავალი პრემიის ლაურეატი, 1949 წელს აქვეყნებს თავის უმნიშვნელოვანეს ნაშრომს „მეორე სქესი“, რომელმაც დიდი ხმაური და ვნებათაღელვა გამოიწვია საზოგადოებაში. ინტე-

ლექტურალი მწერალი ქალი კრიტიკოსებმა არა ერთი უხამსი სიტყვებით შეამკეს და კრიტიკის ცეცხლში გაახვიეს. მიუხედავად ამისა, ბოჟუარის თეორიულმა შრომებმა დიდი გავლენა იქონია ფემინისტურ ეგზისტენციალიზმზე. არანაკლებ საინტერესო იყო ბრიტანულ ლიტერატურაში ლამის ფემინიზმის კერპად აღიარებული მწერალი ქალის მერი უოლსტონკრაფტის (Mary Wallstonecraft, 1759-1797) ტრაქტატი: „ქალის უფლებების დაცვა“, რომელიც 1792 წელს ინგლისში გამოქვეყნდა. მწერალი ქალი 38 წლის ასაკში გარდაიცვალა და მთელი ხანმოკლე ცხოვრება მიუძღვნა ქალთა უფლებებისა და თავისუფლების დაცვას.

ემანსიპირებული ქალები პატრიარქალური იდეოლოგიას ეწირებოდნენ. დაუშვებელი იყო „სუსტი სქესის“ მანდილოსნების პოლიტიკაში ჩართვა, ისინი გაძევებული იყვნენ მაღალი ბოჰემური საზოგადოებიდან. ქალებს სამუდამოდ სამზარეულოში გამოკეტვა ემუქრებოდათ. მათ მრავალი დაბრკოლების გადალახვა უწევდათ, მაგრამ ინტელექტუალი ქალები გაბედულად იცავდნენ თავიანთ უფლებებს, რომლებსაც სურდათ მწერლობაში მოესინჯათ თავიანთი კალმის ძალა. დიახ, მძიმე იყო კალმოსანი მწერალი ქალების ბედი. ამ მხრივ საყურადღებოა რეპრესირებული ინგლისელი მწერალი ქალი შარლოტა ბრონტე (Charlotte Brontë, 1816-1855), რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ინგლისური პროზის განვითარებაში. მის შემოქმედებაში წინ წამოწეულია ქალთა ემანსიპაციის საკითხები, სოციალური თუ აღზრდის თემები. შარლოტასთან ერთად ინგლისის ლიტერატურული პროცესების განვითარებაში წვლილი შეიტანეს მისმა დებმა - ემილიმ და ენიმ. შარლოტამ მეტად მძიმე ცხოვრების გზა განვლო. ის მთელი ცხოვრება ებრძოდა სოციალურ პრობლემებს. მწერალი ქალი უშედეგოდ ცდილობდა გამოექვეყნებინა თავისი პირველი რომანი „მასწავლებელი“. ის იძულებული ხდება თავისი მომდევნო რომანი „ჯეინ ეარი“ მამაკაცის კერერ ბეილის ფსევდონიმით გამოექვეყნებინა. ისიც ცნობილია, თუ როგორ გამოეხმაურა ლეიკისტი პოეტი რობერტ საუთი შარლოტას სამწერლო მოწოდებას: „მწერლობა ქალის საქმე არაა...“ ჟორჟ სანდს (George Sand, 1804-1876), რომლის ნამდვილი სახელია ავრორა დიუპენი, კარგად იცოდა, რომ როგორც ქალს მრავალი დაბრკოლების გადალახვა მოუწევდა, ამიტომაც ამოეფარება მამაკაცის ფსევდონიმს. ის ჟორჟ სანდის სახელით გაიცნო ევროპის მოწინავე საზოგადოებამ. მისი რომანები არ სცილდება „საოჯახო რომანების“ თემატიკას. ამიტომაც მას სამართლიანად უწოდეს „სიყვარულის მგოსანი“. ინგლისელი მწერალი ქალი ჯეინ ოსტინი (Jane Austen, 1775-1817) თავისი გახმაურებული რომანის „სიამაყე და მცდარი აზრის“ გამოცემას უშედეგოდ ცდილობდა. გამომცემლები კატეგორიულად უარს აცხადებდნენ წიგნის გამოცემაზე. რომანი 1796

წელს დაიწერა და მკითხველთა ფართო აუდიტორიამ მისი გაცნობა მხოლოდ 1813 წელს შეძლო. ასეთი მძიმე და „დატვირთული“ ყოველდღიურობისა, ქალები მაინც ახერხებდნენ კალამი აეღოთ ხელში და შეექმნათ უმნიშვნელოვანესი ტექსტები.

ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე ქალთა უფლებებისათვის ბრძოლა განსხვავებული იყო. წინა საუკუნეში ევროპასა და ამერიკაში ქალებს ბედმა მრავალი სირთულე და დამცირება არგუნა. მათ აკრძალული ჰქონდათ არჩევნებში მონაწილეობა, საავტორო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში განათლების მიღება. არ შეეძლოთ კერძო საკუთრების ფლობა, პოლიტიკურ პარტიებში გაწევრიანება. ამგვარი დისკრიმინაციის პასუხად ქალთა კავშირების ძლიერი ქსელი შეიქმნა ევროპასა და ამერიკაში. ქალები „ანდროცენტრულ კულტურას“ მედგრად უპირისპირდებოდნენ, რომლის თანახმადაც სამყაროს გვირგვინი მამაკაცია. ქალი კი რეპროდუქციული ფუნქციის მატარებელი, ერთგვარი ინკუბატორი.

სწორედ ამ დროს იწყებს არსებობას და ჩამოყალიბებას ახალი მოძღვრება, რომელიც ფემინიზმის (Femina) სახელითაა ცნობილი, რომლის დებულება იმაში მდგომარეობდა, რომ ქალები მამაკაცების თანასწორი არიან და თანასწორი უფლებები და შესაძლებლობები გააჩნიათ. 1960 წელიდან ეს მოძღვრება მთელ მსოფლიოს მოედო.

ევროპელი და ამერიკელი ინტელექტუალი ქალები თავს დამცირებულად გრძნობდნენ და დაჟინებით მოითხოვდნენ რადიკალურ რეფორმებს საზოგადოებასა და ოჯახში: ხმის უფლებების მინიჭებას, თანასწორობას, ფინანსურ დამოუკიდებლობას, პოლიტიკაში ჩართვას, განათლების მიღებას, ეპოქალურ ცვლილებებს. მათთვის მიუღებელი იყო ის დებულება, რომ ქალებს განათლება უნდა ჰქონოდათ, მხოლოდ მუსიკის სფეროში და საოჯახო საქმეებში უნდა ყოფილიყვნენ ჩაბმულნი. სწორედ ამ დროს ქალთა მოძრაობის ლიდერი და აქტივისტი, ორგანიზატორი გახლდათ ამერიკელი მწერალი ქალი, ჟურნალისტი ლიდია გაილდი (Lydia Gild, 1802-1880), მან პირველმა დაარსა ქალთა კერძო სკოლა, პირველი საბავშვო ჟურნალი და გამოაქვეყნა არა ერთი მწვავე პუბლიცისტური წერილი და ბროშურა, სადაც საუბარი იყო ქალისა და მამაკაცის თანასწორობაზე. 1855 წელს აქვეყნებს თავის გახმაურებულ პუბლიცისტურ ნაშრომს „ქალთა ყოფა სხვადასხვა ერებსა და ეპოქაში“, რომელსაც დიდი რეზონანსი მოჰყვა.

ქალთა მოძრაობამ კიდევ უფრო მამტაბური ხასიათი მიიღო, როდესაც 1848 წელს ელიზაბედ კეიდ სტენტონმა (Elizabet Gady Stenton, 1815-1902), შვიდი შვილის დედამ მოიწვია ქალთა ყრილობა, აქვე მან დელეგატებს წარუდგინა „ქალთა დამოუკიდებელი დეკლარაცია“, რომელიც შემდეგი სიტყვებით იწყებოდა: „ქალი და მამაკაცი ერთი თიხისაგანაა მოზე-

ლილი...“ დეკლარაციამ ფართო აუდიტორიის ყურადღება მიიქცია და რეზონანსული გახდა. ელიზაბედ კეიდ სტენტონის მოღვაწეობა იმითაც იყო საყურადღებო, რომ მან 1895 წელს გამოსცა ფრიად მნიშვნელოვანი რელიგიური ხასიათის ტრაქტატი „ქალთა ბიბლია“, რომელმაც საზოგადოების ყურადღება მიიქცია. ის სიკვდილამდე ლექციებს კითხულობდა ისეთ თემებზე, როგორიცაა განქორწინება, ქალთა უფლებები და რელიგია. მან წერილობით მიმართა აშშ-ს პრეზიდენტს თეოდორ რუზველტს არჩევნებში ქალთა მონაწილეობის აუცილებლობის შესახებ. ამ მხრივ საყურადღებოა მისი სამტომეული: „არჩევნებში ქალთა ხმის უფლებებისთვის“ (სფენქერენი 2000: 51-52).

„საკუთარი ოთახი“ ქალთა უფლებების დასაცავად მიძღვნილი ესეია. აქ მწერალი ქალი სვამს არა ერთ მწვავე კითხვას: რატომ არ ქმნიან ქალები დიდ ლიტერატურას, რატომ არ ჰყავს მსოფლიოს ქალი მოაზროვნეები? ამ კითხვაზე ვუღვს საკუთარი პოზიცია აქვს: „მიეცით ქალს საკუთარი ოთახი, 500 გირვანქა წლიური შემოსავალი, მიეცით საშუალება ხშირად გაანძრიოს ტვინი და სულ მალე ის შექმნის უკეთეს ნაწარმოებს“.

ამ ფემინისტურ ტრაქტატში მთელი შინაგანი ძალით გამოვლინდა მწერალი ქალის პოზიცია. მწერალი ღიად და დაუფარავად გვანდობს თავის წუხილს: „ადამიანთა შორის ყოველგვარი ურთიერთობა შეიცვალა: ბატონებსა და მსახურებს, ქმრებსა და ცოლებს, მშობლებისა და შვილების, და როდესაც ადამიანებს შორის ურთიერთობა იცვლება, ამავე დროს ბევრი რამ იცვლება რელიგიაში, ქცევაში, პოლიტიკასა და ლიტერატურაში. შევთანხმდეთ, ერთ-ერთი ამგვარი ცვლილება დაიწყო 1910 წელს“, – წერდა ვულფი (ვულფი 2006: 135).

ვულფი მტკივნეულად აღნიშნავს: „ქალმა რომ დაწეროს რომანი, სჭირდება ფული და საკუთარი ოთახი; მაგრამ გადაუჭრელი რჩება მთავარი პრობლემა – როგორია ჭეშმარიტი არსი ქალისა და ჭეშმარიტი არსი ლიტერატურისა... ქალი და ლიტერატურა გადაუჭრელი პრობლემაა“ (ვულფი 2006: 6). ვულფს უჩნდება უამრავი კითხვა: „ყველაზე დიდი უბედურება ისაა, რომ ჭკვიანი მამაკაცები არასოდეს ფიქრობენ ქალზე ერთსა და იმავეს“. ვულფი ხშირად იშველიებს ცნობილი საზოგადო მოღვაწეებისა თუ მწერლების შეხედულებებს ქალებზე, და გაოცებას ვერ მალავს. თურმე ყველა დროში ქალთა მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება ყოფილა. ის იშველიებს ელიგზანდერ პოუპის შეხედულებას, რომელიც წერდა: „ქალების უმეტესობას არ გააჩნია პიროვნულობა“. ჟან დე ლა ბრუერი, სიტყვის დიდოსტატი, წერდა: „ქალებს უკიდურესობა ახასიათებთ, ზოგი ზერელეა, ზოგი ღრმა“ (ვულფი 2006: 35).

ამ ყველაფრის შემდეგ ვულფი სვამს დრამაზროვან კითხვას: შეუძლია თუ არა ქალს სწავლა, განათლების მიღება? „ნაპოლეონ ბონაპარტე ფიქრობს, რომ არ შეუძლია, ხოლო დოქტორი ჯონსი ფიქრობს შეუძლია“. დიდი გერმანელი მწერალი გოეთე ქალისადმი მოწიწებით იყო აღსავსე, მუსოლინი – ზიზღით (ვულფი 2006: 36).

ვულფი დაჟინებით მოუწოდებს საზოგადოებას: „ქალს თავს ნუ ახვევთ მფარველობას, მათაც მიეცით საშუალება, რომ მონაწილეობა მიიღონ ყოველგვარ საქმიანობაში და ძალა სცადონ ყველაფერში. დე, იყვნენ ქალები მეზღვაურები და ჯარისკაცები, მემანქანეები...ყველაფერი შესაძლებელია თუ ქალი თავს დაადგენს სხვის მფარველობას“ (ვულფი 2006: 48).

დღეს თანამედროვე ქალი თავისუფალია პროფესიის არჩევაში. მას შეუძლია მზარეულიც გახდეს, მძღოლიც, პოლიტიკოსი და ჯარისკაცი. ვულფს არ მოსწონს, რომ ქალს მუდმივად ამცირებენ და ჭკუას ასწავლიან: „ქალს ამცირებდნენ, სცემდნენ, ტუქსავდნენ და ჭკუას ასწავლიდნენ“.

ფემინისტ მწერალ ქალს არ მოსწონს, ის კონცეფცია, რომ დღეს სამყაროს მბრძანებელი მამაკაცია: „კაცმა ფეხი მოიკიდა ყველგან, საითაც გაიხედავთ. კაცები პირველობენ არა მხოლოდ ხელოვნებაში – პოლიტიკაშიც. კაცი ქალს პოლიტიკისკენაც გზას უღობავს“ (ვულფი 2006: 65). თუმცა დღეს რეალობა რადიკალურად შეიცვალა. ქალს ჩვენ უკვე ვხედავთ პოლიტიკაში, პარლამენტში, ქალი არის პრემიერ-მინისტრი, პრეზიდენტი, ქვეყნის სრულუფლებიანი მმართველი.

დრო შეიცვალა!

თუმცა სამყაროს ჯერ კიდევ სჭირდება ცვლილებები და რეფორმები. ეს ცვლილებები და რეფორმები ქალის გარეშე ჩვენს დროში წარმოუდგენელია. „ახლა ქალები ხომ თითქმის იმდენს წერენ, რამდენსაც მამაკაცები“, – დასძენს ვულფი. მეტიც, „მჯერა ერთ-ორ საუკუნეში – საზოგადოებრივი ცხოვრება შეიცვლება, თავისუფლებას შევისისხორცებთ და გავბედავთ, დავწეროთ, რასაც ვფიქრობთ; საერთო სასტუმრო ოთახს ოდნავ მაინც თავს დავადგენთ“ (ვულფი 2006: 93). ამ ოპტიმისტური განწყობით სრულდება ვულფის „საკუთარი ოთახი“.

ფემინისტური სტილისტიკა კრიტიკული სტილისტიკის იდეოლოგიური პირმშოა. ის ფოკუსირებულია ტექსტში გენდერთან დაკავშირებულ ლინგვისტურ საკითხებზე.

ჩვენს მთავარ მიზანსაც სწორედ ეს წარმოადგენს ვ. ვულფის ყველაზე გახმაურებულ ესესთან მიმართებაში, რომელსაც „ფემინიზმის მანიფესტსაც“ უწოდებენ.

როგორც ჯონსონი აღნიშნავს (Johnson, 2022: 112), ვულფის მანიფესტი „საკუთარი ოთახი“ სხვა ნაწარმოებებისაგან განსხვავებით ნაკლებადაა შესწავლილი ლინგვისტიკისტური კუთხით, თუმცა არაერთხელ გამხდარა ფემინისტური ლიტერატურული კრიტიკის საგანი. სწორედ ამიტომ გადაწყვიტა მან ფემინისტური სტილისტიკის ანალიზის საუძველზე შეესწავლა ვულფის „საკუთარი ოთახის“ მეტაფორული ენა, ვინაიდან ამ პერსპექტივით ენის გამოყენება მნიშვნელოვანია გენდერული იდენტობის გასაძლიერებლად.

ესე სათაური თავისთავად არის მეტაფორა იმ სივრცისთვის, რომელიც ქალებს სჭირდებათ თავიანთი შემოქმედებითი ნიჭის გასავითარებლად. ვულფი ამტკიცებს, რომ ქალების ისტორიულად გარიყვა ლიტერატურული კრიტერიუმებიდან გამოწვეული იყო სოციალური და ეკონომიური შესაძლებლობების ნაკლებობით. მისი აზრით, ქალებმა რომ მწერლობაში წარმატებას მიაღწიონ, მათ უნდა ქონდეთ განათლება, ფინანსური დამოუკიდებლობა და საკუთარი ოთახი“ *a woman must have money and a room of her own if she is to write fiction*” (Woolf 1929: 4).

3. ვულფი იკვლევდა სოციალურ და ინსტიტუციურ ბარიერებს, რომლებიც ხელს უშლიდნენ მდედრობითი სქესის წარმომადგენლებს თავიანთი პოტენციალის სრულად რეალიზებაში. ვირჯინია ვულფი სამართლიანად ითვლება გავლენიან მწერლად წერის უნიკალური სტილის, სიმბოლიზმის გამოხატვის და მხატვრული ხერხების, როგორიცაა მხატვრული შედარება, მეტაფორა, პერსონიფიკაცია, ინვერსია, ირონია და ა. შ., თავისებური მანერით გამოყენების გამო. მაგ. ის, რომ ვულფი სიტყვას „ოთახი“ იყენებს განმარტოების, კონფიდენციალურობის, ფინანსური დამოუკიდებლობის სიმბოლოდ, რაც ისტორიულად აკლდათ ქალებს. და ის, რომ გამოთქმა „საკუთარი ოთახი“ იქცა იმ სივრცისა და დროის გამოხატველ მეტაფორად, რომელიც ძალიან სჭირდება ქალს საკუთარი შემოქმედებითობისთვის. როგორც ბიმბერგი აღნიშნავს (Bimberg 2002: 3), ავტორი ნაწარმოების დასაწყისშივე ნათელყოფს, რომ მწერალი არ არის „სიმართლის“ აშკარად გაცხადებისუნარიანი. მას მხოლოდ შეუძლია შეფუთულად აღწეროს თავისი იდეების წარმოშობის პროცესი. მისივე თქმით, ვულფი თავის ესე მსვლელობისას ისევე პოულობს „სიმართლეს“, როგორც ხედავს რეალობას, მაგრამ ნაცვლად მეცნიერული განმარტებებისა გვთავაზობს იმპრესიონისტული ლიტერატურიდან ნასესხებ მეთოდს. მისი მატერიალური და არამატერიალური, გონებრივი თუ ფიზიკური რეალობის გამოსახატავად იყენებს *მატაფორულ ხერხებს* და იძლევა სუბიექტურობის წარმოდგენის საშუალებას: *...,now to be found in a dusty road, now in a scrap of newspaper in the street, now in a daffodil in the sun. It*

lights up a group in a room and stamps some casual saying. It overwhelms one walking home beneath the stars and makes the silent world more real than the world of speech and then there it is again in an omnibus in the uproar of Piccadilly” (Woolf 1929: 5).

კიდევ ერთი ხერხი, რაც ვულფს ხდის ორიგინალურს და გამორჩეულს, არის ფიქციონალიზაცია (fictionalization), გამოგონილისა და ფაქტის ნაზავი. იგი იტოვებს იმედს, რომ მას ეს დაეხმარება ობიექტური ჭეშმარიტების მიღწევაში, თუკი ავტორისა და მკითხველის მხრიდან მოსაზრებები ყურადღებით იქნება გათვლილი, ვინაიდან მისი აზრით „Fiction here is likely to contain more truth than fact”. ესეში ვულფი ერთად-ერთი მთავარი გმირია, რომელიც მკითხველს მიმართავს „მე- I“ პირველი პირის სახელით და ეუბნება: მე, (მიწოდეთ მერი ბეტონი, მერი სეტონი, მერი ქარმაიკლი ან ნებისმიერი სხვა სახელი, რომელიც გსურთ - ეს სულ ერთია). იგი ასე ახერხებს „I“ is only a convenient term for somebody who has no real being. „მე“- მხოლოდ მოსახერხებელი ტერმინია ვიდაცისათვის, ვინც სინამდვილეში არ არსებობს. ჩემი ბაგიდან სიცრუე გადმოედინება, თუმცა იქნებ ცოტაოდენი სიმართლე იყოს კიდევ გარეული ამ სიცრუეში. სიმართლე, რომელიც თქვენ თავად უნდა მოძებნოთ და გადაწყვიტოთ, ღირს თუ არა შენახვა. და თუ არ ღირს, ბუნებრივია, ყველაფერს სანაგვე ყუთში მოისვრიოთ და დაივიწყებთ (Woolf 1929: 6-7).

ამკარად ჩანს მთხრობელის ტენდენციურობა. ის მკითხველს დაატარებს თავისი ფიქრების ლაბირინთებში, ცდილობს, მიიყვანოს გარკვეულ დასკვნებამდე, თუმცა შეპარულად აგრძნობინებს, რომ სასურველი შედეგი შეიძლება ვერ დადგეს სრულად და თავისუფლად (fully and freely). ამაში, ის თავად, თხრობის დასაწყისშივეა დარწმუნებული, რასაც შემდგომში ირონიულად ავითარებს, რაც ხაზგასმულია ისეთი მარკერებით, როგორიცაა: ალბათ, შესაძლოა, როგორც ჩანს („perhaps“, „might“, „seem“, „possibly“) და ა. შ. მსგავსი აღმნიშვნელები ტექსტში მრავალჯერაა გამოყენებული, რაც ავტორის/მთხრობელის არასაკმარის თავდაჯერებულობასა და დარწმუნებულობაზე მიუთითებს.

ვულფი სიტყვებისა და ფრაზების ხშირი გამოყენებით ხაზს უსვამს მათ მნიშვნელობას როგორც გამოწვევას გენდერის ტრადიციული გაგების მიმართ გენდერული თანასწორობისათვის ბრძოლაში. განსაკუთრებით კი, ტექსტში ფრაზის „a room of one's own“ მრავალჯერადი გამოყენებით ხაზს უსვამს იმას, რომ ქალმა რომ დაწეროს, მას უნდა ქონდეს ფული და საკუთარი ოთახი. თუმცა ქალისა და ლიტერატურის პრობლემა მაინც გადაუჭრელი რჩება. როგორია ჭეშმარიტი არსი ქალისა და ჭეშმარიტი არსი ლიტერატურისა... „ქალი და ლიტერატურა გადაუჭრელი პრობლე-

მაა“ ასკვნის ვულფი. ის თავიდანვე იყო დარწმუნებული იმაში, რომ ამ ორ საკითხთან დაკავშირებით ვერავითარ დასკვნას ვერ გააკეთებდა.

იმისთვის, რომ მთხრობელი და მსმენელი ან მკითხველი მუდმივ კავშირში ამყოფოს, ვულფი იყენებს კიდევ ერთ თანმიმდევრულ ხერხს, ემოციურ ჩართულობას, მაგ. „Nobody seemed stirring in the streets of Oxbridge“. სხვა შემთხვევაში ამას ახერხებს ისეთი მხატვრული ანუ ფიგურალური ხერხებით, როგორიცაა მხატვრული შედარება, სიმბოლო, სინეკდოხა, მეტაფორა, მეტონიმია, ანტითეზი და სხვა. ვულფის „ოთახი“ ძალიან მდიდარია მხატვრული შედარების (Simile) მაგალითებით: Even the sorrow of Christianity sounded in that serene air more like the recollection of sorrow itself; even the groanings of the ancient organ seemed lapped in paece (Woolf 1929: 28).

წინადადებაში „runs into its answer as a sheep runs into its pen (Woolf 1929:28), ვულფი უპირისპირებს მამაკაცის განათლებულობასა და ქალის გაუნათლებლობას, სადაც ამბობს, რომ შეკითხვა მამაკაცისთვის პასუხისკენ მიიწევს, როგორც ცხვარი თავისი ბაკისკენ. როგორც ვნახეთ, ვულფი ახარეხებს გამოხატოს და თქვას, რაც სურს, მიუხედავად მისი ნარატიული და სტილისტური თავისებურებებისა. პირიქით, ისინი, მისი დამაჯერებელი სტრატეგიების უშუალო შედეგია.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ვირჯინია ვულფი XX საუკუნის ერთ–ერთი საუკეთესო ინგლისელი ფემინისტი მწერალი ქალია. თავის რომანებსა თუ ესეებში, პუბლიცისტურ წერილებში მუდამ ყურადღებას ამახვილებს ქალებზე, გულისტკივილით გვესაუბრება ქალის ხვედრზე, მათ პრობლემებზე, სოციალურ საკითხებზე, ქალსა და მამაკაცს შორის პარიტეტის დარღვევაზე, თანასწორუფლებიანობაზე. მეტიც, ვულფს, როგორც ფემინისტს, დიდად აღელვებს ქალის ბედი თანამედროვე ცივილიზირებულ სამყაროში. ის ქალის ქომაგი და დამცველია. წუხს იმაზე, რომ ქალი არ არის სათანადოდ დაფასებული. ამიტომაც ნატრობს, რომ ქალმა სასტუმრო ოთახს ოდნავ მაინც თავი დააღწიოს. დღეს რეალობა რადიკალურად შეცვლილია! ქალის უფლებები დღითიდღე უმჯობესდება. მიუხედავად ამისა, ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ბევრი გასაკეთებელია. ფემინისტური განწყობა თავიდან ბოლომდე გასდევს წარმოდგენილ ტექსტს. ნაშრომში გამოვკვეთეთ ყველა ის ძირითადი საკითხი, რომელიც ქალთა პრობლემებს ეძღვნება და რომელზედაც დიდი მღელვარებით წერდა ფემინისტური და მოდერნისტული ლიტერატურის გამორჩეული წარმომადგენელი ვირჯინია ვულფი.

გამოყენებული ლიტერატურა:

- განთიადი (2018): ჟურნალი „განთიადი“, N7-8, თბილისი;
- ვულფი (1988): ვ. ვულფი, ესეები, თარგმანი პაატა და როსტომ ჩხეიძეებისა, თბილისი;
- ვულფი (2006): ვ. ვულფი, საკუთარი ოთახი, თარგმანი ინგა მაცაბერიძე-პაპა-ვასი, თბილისი;
- ვულფი (2012): ვ. ვულფი, მისი დოლოვეი, თარგმანი გ. ძნელაძის, თბილისი;
- კაკაბაძე (1971): ნ. კაკაბაძე, თანამედროვე დასავლური რომანი და მისი პოეტიკა, პორტრეტები და სილუეტები, თბილისი;
- XX საუკუნის... (2011): XX საუკუნის I ნახევრის დასავლეთევროპული ლიტერატურის ისტორია, ნ. კაკაურიძის რედაქციით, ქუთაისი;
- საფო (1977): საფო, ლირიკა, თარგმანი, შესავალი წერილი, შენიშვნები და სახელთა საძიებელი დაურთო ნ. ტონიამ, თბილისი;
- სფენქერენი (2000): სფენქერენი ქეთრინ ვან, ამერიკული ლიტერატურის მიმოხილვა, თარგმანი მ. დუმბაძისა და ზ. გაჩეჩილაძის, თბილისი;
- უსლ (1989): უცხო სიტყვათა ლექსიკონი, შემდგენელი მიხ. ჭაბაშვილი, თბილისი;
- „სახალხო ფურცელი“ (1926): გაზეთი „სახალხო ფურცელი, N478, თბილისი;
- წურწუმია (2018): კ. წურწუმია, კლასიკური და თანამედროვე საზღვარგარეთული ლიტერატურა, თბილისი;
- ყიასაშვილი (1988): ნ. ყიასაშვილი, „თანამედროვეობა“ და „მოდერნიზმი“, დასავლეთ ევროპის ლიტერატურა (XX საუკუნე), ლიტერატურის ისტორია, პოეტიკა, ურთიერთობანი, თბილისი;
- ყაუხჩიშვილი (1961): ს. ყაუხჩიშვილი, ანტიკური ლიტერატურის ისტორია, თბილისი;
- Bimberg (2002): Bimberg Christiane, The Poetics of Conversation in Virginia Woolf's 'A Room of One's Own: Construct;
- Johnson (2022): Johnson, L., Metaphoric Language in Virginia Woolf's A Room of One's Own: A Feminist Stylistic Analysis. Feminist Studies, 36(3);
- Johnson (2022): Johnson, L., Metaphoric Language in Virginia Woolf's A Room of One's Own: A Feminist Stylistic Analysis. Feminist Studies, 36(3);
- Mills (2005): Mills, S., Feminist Stylistics. 2nd edition.p.165 London: Routledge;
- Woolf, Virginia. A Room of one's own .New York: Harcourt Brace.